	პროგრამის აღწერა	<p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა (რაოდენობა) და სკვერების(რაოდენობა) მოვლა-პატრონობა. კერძოდ, სკვერებსა და გამწვანებულ ტერიტორიებზე ტარდება მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიებები, ნიადაგის მომზადება, დასუფთავება, ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, მორწყვა, შეწამვლა და საჭიროების შემთხვევაში შხამქიმიკატების შეტანა. პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება ქალაქ დმანისის ტერიტორიის კეთილმოწყობითი და გამწვანებითი ღონისძიებები. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება 2 სამშატო ერთეულის ხელოფასის დაფინანსება.</p>	
	პროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სკვერებში და პარკებში მოსახლეობისთვის სასიამოვნო, ჯანსაღი გარემოს შექმნა.	

გ) კაპ. დაბანდებები დასუფთავების სფეროში

კოდი	პროგრამის დასახელება	კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
03 03			855.2
	პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	დმანისის მუნიციპალიტეტის მერია	
	პროგრამის აღწერა	<p>დასუფთავება ერთ-ერთ მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. შექმნილი ნაგავშიდი მანქანები და ნაგვის ურნები ვერ აკმაყოფილებს სრულად იმ მოთხოვნებს რაც მუნიციპალიტეტს გააჩნია. აქედან გამომდინარე, პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მყარი ნარჩენების გატანისათვის საჭირო ინვენტარის, ნაგავშიდი მანქანების და ნაგვის კონტეინერების შექმნა, რათა ნელნელა სრულად მოხდეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ათვისება.კერძოდ 2024 წელს გათვალისწინებულია ერთი ცალი აშწე კალათის და სატვირთო ავტომანქანის დარჩენილი თანხების განადგება-107470 ლარის ოდენობით,ასევე დასაფინანსებელია ორი ერთეული ნაგვის მანქანების დარჩენილი თანხა 378590ლარის ოდენობით დავთი ცალი ავტობუსის თანხა 103050 ლარი.</p>	

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	დმანისის მუნიციპალიტეტში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის ხელშეწყობა
--	---

დ) უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები

კოდი	პროგრამის დასახელება	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
03 04			30,0
	პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ დმანისის კომუნალური სამსახური	
	პროგრამის აღწერა	<p>პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ხორციელდება დმანისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებში არსებული მაწანწალა ძაღლების თავშესაფარში გადაყვანა, რომელსაც უზრუნველყოფს ტენდერში გამარჯვებული კომპანია. მიუსაფარი შინაური ცხოველის დაჭერა, დროებით თავშესაფარში განთავსება შემდგომი პროცედურების განხორციელების მიზნით; მიუსაფარ შინაურ ცხოველზე საიდენტიფიკაციო საშუალების განთავსება მიკროჩიპირებით. ან ტატუირებით, ან საჭდით („ბირკით“) ; საჭიროების შემთხვევაში, სათანადო ვეტერინარული ღონისძიებების განხორციელება: ექიმ-ვეტერინარის ან/და ინოლოგის/ფელინოლოგის მიერ ცხოველის ვიზუალური დათვალიერება-დაკვირვება, ცხოველის ბიომასალის (სისხლის, შარდის, ზეწვის და სხვა) ლაბორატორიული კვლევა, მკურნალობა (დეჰლმინთიზაცია, ვაქცინაცია (მათ შორის „კომპლექსური“, „ანტირაბიული“) და სხვა), ოპერაციების (სტერილიზაცია, კასტრაცია, ყურის კუპირება და სხვა) ჩატარება, ცხოველის ევთანაზია; საჭიროების შემთხვევაში, დეზინფექციის, დეზინსექციის, დეზაკარიზაციის და დერატიზაციის ღონისძიებება განხორციელება; ევთანაზირებული ან დაცემული ცხოველის ლეშის გადატანა შესაბამის ბიოთერმულ ცხოველთა სამარხში (ბეკარის ორმოში), ცხოველის ლეშის დამარხვისთვის გამოყოფილ სპეციალურ ტერიტორიაზე ან კრემატორიუმში; მიუსაფარი შინაური ცხოველის გაჩუქება, მიკედლება, დაინტერესებული პირისთვის დაბრუნება, საჭიროების შემთხვევაში, შემდგომი მოვლა-პატრონობის პირობების კონტროლი;</p> <p>ზემოთ ჩამოთვლილი ვეტერინარული და სხვა ღონისძიებების გატარების შემდგომ, მიზანშეწონილობის შემთხვევაში, ცხოველის (რომელიც არ წარმოადგენს საფრთხეს) ზუნებრივ არეალში ან პირვანდელ საცხოვრებელ ტერიტორიაზე დაბრუნება; საჭიროების შემთხვევაში, სურსათის ეროვნულ სააგენტოს შესაბამისი ტერიტორიულ ორგანოსთვის მიმართავა მიუსაფარი შინაური ცხოველების ვაქცინაციის ჩატარების უზრუნველსაყოფად;</p>	
	პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	დმანისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვა . მიუსაფარი შინაური ცხოველების მოვლა-პატრონობა ვეტერინარულ ღონისძიებების გატარების გზით	

3.განათლება (04 00)

მომავალი თაობის აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას ,რაც თვითმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს რომლის ფარგლებშიც ყოველ წლებში ხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.ასევე დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში ხორციელდება საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირება და სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

დასახელება		2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
04 00	განათლება	2 646,5	1 822,6	1 822,6	1 822,6
04 01	სკოლამდელი აღზრდა	1 631,6	1 631,6	1 631,6	1 631,6
04 01 01	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ფუნქციონირება	1 631,6	1 631,6	1 631,6	1 631,6
04 01 02	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია	0,0	0,0	0,0	0,0
		1 631,6	1 631,6	1 631,6	1 631,6

04 02 01	საგანმანათლებლო ცენტრის ხელშეწყობა	181,0	181,0	181,0	181,0
04 02 02	პრინციპული სტუდენტთა ხელშეწყობა	14,0	10,0	10,0	10,0
04 03	საჯარო სკოლების დაფინანსება	935,8	0,0	0,0	0,0
04 03 01	სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა	0,0	0,0	0,0	0,0
04 03 02	ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მშენებლობა/რეაბილიტაცია	0,0	0,0	0,0	0,0

ა) სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება

კოდი	პროგრამის დასახელება	სკოლამდელი აღზრდა	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
04 01			1 631,6
	პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური	
	პროგრამის აღწერა	საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. დმანისის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ა(ა)იპ დმანისის სკოლამდელი აღზრდის სამსახურის დაფინანსება. დღეის მდგომარეობით სკოლამდელი აღზრდის სამსახურში შედის 10 საბავშვო ბაღი, რომელიც ემსახურება შემდეგი დასახლებების მოსახლეობას: სოფელი იაღუფლო, სოფელი ზემო ოროზმანი, სოფელი დალარი, სოფელი ქვემო ოროზმანი, სოფელი ბაზაქლო, სოფელი კარაბულაბი, სოფელი განთიადი, სოფელი კიხილიქილია, სოფელი ტნუსი, სოფელი ჯავახი, სოფელი ას კაკლიანი, სოფელი ბოსლოები, სოფელი ვარდისუბანი, სოფელი დიდი დმანისი, სოფელი მაშავერა, სოფელი გომარეთი, სოფელი ახა, სოფელი ველისპირი, სოფელი განახლება და სოფელ სარკინეთი. 2020-2021 წლებში განხორციელდა ქალაქ დმანისის N1, სოფელ ჯავახისა და სოფელ განთიადისა და სოფელ მაშავერას საბავშვო ბაღების სრული რეაბილიტაცია, მიმდინარეობს სოფელ ვარდისუბნის, სოფელ გომარეთის, სოფელ სარკინეთის და ქალაქ დმანისის N2- N3 ბაღების სრული რეაბილიტაცია. აღნიშნული დასრულდება 2022 წელს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით სამომავლოდ დაგეგმილია ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა სოფელ ბოსლოებში და ასევე ეთნიკურად აზერბაიჯანული მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებულ დიდ სოფლებში	
	პროგრამის მიზანი	პროგრამის მიზანია დმანისის მუნიციპალიტეტის 2-დან 6-წლამდე ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხელმისაწვდომობა	

ა.ა) სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ხელშეწყობა

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ხელშეწყობა	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
04 01 01			1 631,6
	ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ დმანისის სკოლამდელი აღზრდის სამსახური	
	ქვეპროგრამის მიზანი	სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირების ხელშეწყობა და განათლების მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა	
	ქვეპროგრამის აღწერა	დღეის მდგომარეობით დმანისის მუნიციპალიტეტში მოქმედებს 9 საბავშვო ბაღი და დამატებით რეაბილიტაციის პროცესშია ერთი ბაღი - ქალაქ დმანისის N1, N2, N3 ბაღები, სოფელ განთიადის, სოფელ ჯავახის, სოფელ ვარდისუბნის, სოფელ სარკინეთის, სოფელ მაშავერასა და სოფელ გომარეთის საბავშვო ბაღები. მთლიანად სამსახურში დასაქმებულია 60 თანამშრომელი, მათ შორის 16 აღზრდელი და 12 თანამშემწე, ხოლო ირიცხება 340 აღსაზრდელი, აქედან ბიჭი 172, გოგო 168. ააიპ „დმანისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სამსახურის“ დაქვემდებარებაში შემავალ საბავშვო ბაღებში დაწყებულია მზადება ავტორიზაციისათვის, რაც მოიცავს ბაღების რეაბილიტაციას, აღზრდელ-პედაგოგების გადამზადებასა და ა.შ. ადგილობრივი სუბსიდიის ხმარდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფას, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაღების შიდა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, ავეჯის განახლებასა და ა.შ. ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის	

	ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება, მათი კვალიფიკაციის ამაღლება და სხვა.
--	---

ბ) საგანმანათლებლო ცენტრი

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	საგანმანათლებლო ცენტრის ხელშეწყობა	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
04 02 01			181,0
	ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)ივ დმანისის საგანმანათლებლო ცენტრი	
	ქვეპროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისთვის სახელმწიფო ენისა და უცხო ენების შესწავლის უზრუნველყოფა, მათ შორის ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების სახელმწიფო ენის სწავლის ხელშეწყობა და მათი ინტეგრაცია საზოგადოებაში.	
	ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში დმანისის მუნიციპალიტეტში, კერძოდ ქალაქ დმანისში ფუნქციონირებს ააივ დმანისის საგანმანათლებლო ცენტრი, რომელიც წარმოადგენს სკოლის გარეშე სასწავლო დაწესებულებას. დაფუძნდა 2008 წლის 18 დეკემბერს. საგანმანათლებლო ცენტრში წარმოებს სახელმწიფო ენისა და უცხო ენის (ინგლისური) უფასო სწავლება. 2021 წლის დასაწყისში ქართული ენის სასწავლო პროგრამაში ახალგაზრდებში, განსაკუთრებით ეროვნულ უმცირესობებში, ქვეყნის ისტორიული წარსულისადმი ინტერესის გაღვივებისა და ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში აქტიური ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით მოხდა საქართველოს ისტორიის მოკლე კურსის ინტეგრირება. პროგრამა არის ერთწლიანი და ხდება თანმიმდევრული შესწავლა დონეების მიხედვით (ინდივიდუალური მიდგომა). ცენტრში დადგენილია კვირაში 5 დღიანი სასწავლო/სააღზრდელი პროცესი. ცენტრში დასაქმებულია 9 ადამიანი და მიმდინარე წელს პანდემიური სიტუაციიდან გამომდინარე სწავლობდა 157 ბენეფიციარი ჯგუფის წარმომადგენელი. პროგრამის ფარგლებში, აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობის კომპანიის წარმომადგენლობის დაფინანსებით მოსწავლეებს ემსახურება ტრანსპორტი, რომელიც მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლებიდან ახდენს მათ ტრანსპორტირებას. პროგრამაში ჩართულნი არიან სოფლები: ზემო და ქვემო ოროზმანი, ბაზაქლო, დალარი, კარაბულახი, შინდლარი, დაგარახლო, ამაგლო, მამიშლო და სოფლებთან ერთად ქალაქ დმანისის მკვიდრი ახალგაზრდები.	

გ) ზოგადი განათლების ხელშეწყობა

კოდი	პროგრამის დასახელება	საჯარო სკოლების დაფინანსება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
04 03			935,8
	პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური	
	პროგრამის მიზანი	საჯარო სკოლებში კეთილსამიერო სასწავლო გარემოს შექმნა.	
	პროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა მოიცავს, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, დმანისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფას. ქვეპროგრამას ახორციელებს კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია. რეისების ჯერჯერობადად შესრულებას კი ზედამხედველობას უწევს მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური. ტრანსპორტირება ხორციელდება მუნიციპალიტეტში მოქმედი სკოლების მოთხოვნისამებრ და ქვეპროგრამით სარგებლობს სხვადასხვა სოფლის წარმომადგენელი მოსწავლეები. პანდემიური სიტუაციიდან გამომდინარე ზოგიერთ სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ორ ცვლად, შესაბამისად მოსწავლეებს ტრანსპორტი ემსახურება დირექტორის მიერ განსაზღვრული გრაფიკით. ქვეპროგრამის ფარგლებში მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამაში ჩართულია მოსწავლე. 2021 წელს პროგრამით სარგებლობენ შემდეგი სოფლის მოსწავლეები: კიზილქილისა, ბოსლები, გუგუთი, დიდი დმანისი	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური
ქვეპროგრამის მიზანი	საჯარო სკოლებში კეთილსაიმედო სასწავლო გარემოს შექმნა.
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა მოიცავს, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, დმანისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფას, ქვეპროგრამას ახორციელებს კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია, რეისების ჯგეროვნად შესრულებას კი ზედამხედველობას უწევს მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური, ტრანსპორტირება ხორციელდება მუნიციპალიტეტში მოქმედი სკოლების მოთხოვნისამებრ და ქვეპროგრამით სარგებლობს სხვადასხვა სოფლის წარმომადგენელი მოსწავლეები. პანდემიური სიტუაციიდან გამომდინარე ზოგიერთ სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ორ ცვლად, შესაბამისად მოსწავლეებს ტრანსპორტი ემსახურება დირექტორის მიერ განსაზღვრული გრაფიკით. ქვეპროგრამის ფარგლებში მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამაში ჩართულია მოსწავლე, 2023 წელს პროგრამით ისარგებლებენ შემდეგი სოფლის მოსწავლეები: კიზილქილისა, ბოსლები, გუგუთი, დიდი დმანისი

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მშენებლობა/რეაბილიტაცია	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
04 03 02			
	ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური	
	ქვეპროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტის სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	
	ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა მოიცავს, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, დმანისის მუნიციპალიტეტში არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებების აშენება, რეაბილიტაციას და ზოგადად ინფრასტრუქტურის განვითარება/გამართვას. მცხოვრები მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფას, ქვეპროგრამას ზედამხედველობას უწევს მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური, მუნიციპალიტეტის მასშტაბით მოქმედებს 27 საჯარო სკოლა, აქედან 17 საშუალო და 10 საბაზო სკოლა. პროგრამის ფარგლებში 2018 წლიდან დღემდე მოეწყო სკოლათა სველი წერტილები(ქალაქ დმანისის N1,განთიადის საჯარო სკოლა, მაშავერას საჯარო სკოლა,დიდი დმანისის საჯარო სკოლა, კამარლოს სკოლა, დაგარახლოს სკოლა, ოროზმანის სკოლა და სხვა), შეიცვალა სახურავი სარკინეთის სკოლაში, დამონტაჟდა გათბობის სისტემები და სხვა.	

4. კულტურა, ახალგაზრდობა სპორტი 05 00

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად ერთად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას.ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი,ისე ფიზიკური თვალსაზრისით)განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს სპორტული და კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას,წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობასდა შესაბამისი პირობების შექმნას,რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა.

პრიორიტეტის/პროგრამის/ქვეპროგრამის /ღონისძიებების დასახელება	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
05 00 კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	2 881,0	2 785,0	2 785,0	2 785,0
05 01 სპორტის სფეროს განვითარება	720,2	720,2	720,2	720,2
05 01 01 სპორტული სკოლის ხელშეწყობა	580,0	580,0	580,0	580,0
05 01 02 სპორტული ღონისძიებები	140,2	140,2	140,2	140,2
05 02 კულტურის სფეროს განვითარება	1 757,8	1 757,8	1 757,8	1 757,8

05 02 02	სახელოვნებო დაწესებულების ხელშეწყობა	246,8	246,8	246,8	246,8
05 02 03	საბიბლიოთეკო სამსახურის ხელშეწყობა	229,5	229,5	229,5	229,5
05 02 04	კულტურული ღონისძიებები	355,0	355,0	355,0	355,0
05 03	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	200,0	100,0	100,0	100,0
05 04	ინიციატივების თანადაფინანსება	2,0	2,0	2,0	2,0
05 05	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	156,0	160,0	160,0	160,0
05 06	საგამომცემლო საქმიანობა	45,0	45,0	45,0	45,0

ა) სპორტის სფეროს განვითარება

კოდი	პროგრამის დასახელება	სპორტის სფეროს განვითარება	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
05 01			720,2
	პროგრამის განმახორციელებელი	დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური	
	პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. 2023 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და დაფინანსდება სპორტული სკოლა. პროგრამის ფარგლებში მოხდება სპორტული ობიექტების მოვლა-პატრონობა და რეაბილიტაცია. მეორე ქვეპროგრამა ხორციელდება დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებით და მოიცავს მუნიციპალიტეტის მასშტაბით სპორტული ღონისძიებების დაგეგმვასა და ჩატარებას.	
	პროგრამის მიზანი	სპორტის საყოველთაოობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. სულიერად და ფიზიკურად განვითარებული პიროვნების ფორმირება, სპორტული ტრადიციების დაცვა. სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, მატერიალური და ტექნიკური ბაზის განმტკიცება, სპორტის ინდუსტრიის განვითარება.	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სპორტული სკოლის ხელშეწყობა	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
05 01 01			580,0
	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)კ ომარ მუმლაძის სახელობის დმანისის სპორტული სკოლა	
	ქვეპროგრამის აღწერა	ა(ა)კ " ომარ მუმლაძის სახელობის დმანისის სპორტული სკოლა" - უზრუნველყოფს სპორტული სექციების მუშაობას 8 სპორტის სახეობის მიმართულებით. სკოლას აქვს ფილიალი სოფელ განთიადში, სოფელ გომარეთსა და სოფელ ვარდისუბანში. ორგანიზაციაში დასაქმებულია 22 თანამშრომელი, აქედან 3 ქალი და 19 კაცი. მოქმედებს შემდეგი სპორტული წრეები: ჭიდაობა- მიუდო, თავისუფალი ჭიდაობა, ჭიდაობა - ქართული, ჭიდაობა - სამზო, ჭადრაკი, ფეხბურთი, კრივი და კარატე 13 მწვრთნელი ემსახურება სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის (6 დან - 18 წლამდე) ახალგაზრდას. სკოლაში რიცხულია 192 ბენეფიციარი, სპორტული წრეების სპეციფიკიდან გამომდინარე მათ შორის ყველა ბიჭია. სკოლა გეგმავს და ანხორციელებს ღონისძიებებს ცხოვრების ჯანსაღი წესის მიმართულებით და ხელს უწყობს მის დანერგვასა და პოპულარიზაციას. იგეგმება ფრენბურთის წრის დამატება. ხელს უწყობს წარმატებულ სპორტსმენებს, მათ მწვრთნელებს და ახორციელებს მათ წახალისებას, ასევე უზრუნველყოფს ცენტრში სპორტულ წრეებზე მოსიარულეთა სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთაც.	
	ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	დმანისის მუნიციპალიტეტში სპორტული სკოლის ფუნქციონირების ხელშეწყობით მოზარდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, ახალგაზრდობის ჩართულობის გაზრდა სპორტში და პერსპექტიული სპორტსმენების აღზრდა. მატერიალური და ტექნიკური ბაზის განმტკიცება.	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სპორტული ღონისძიებები	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
05 01 02			104,2

ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში ჩატარდება ტურნირები და სახელობითი თასის შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობებში, აღინიშნება ევროპის სპორტის კვირეული, დაიგეგმება სხვადასხვა აქტივობები სპორტის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით. ამასთან, დაფინანსდება სასკოლო სპორტული ოლიმპიადები, სადაც მუნიციპალიტეტის მასშტაბით ყველა სკოლის მოსწავლე იქნება ჩართული. წარმატებულ სპორტსმენებთან ჩატარდება შეხვედრები და უზრუნველყოფილი იქნება მათ მიერ გამართულ მასტერკლასებზე ახალგაზრდების მაქსიმალური ჩართულობა. განსაზღვრული ბიუჯეტი მოხმარდება ფორმების, თასების, სიგელებისა და სხვა სპორტული ინვენტარის შეძენას.
ქვეპროგრამის მიზანი	სპორტის საყოველთაოობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

ბ) კულტურის სფეროს განვითარება

კოდი	პროგრამის დასახელება	კულტურის სფეროს განვითარება	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
05 02			1 757,8
	პროგრამის განმახორციელებელი	დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური	
	პროგრამის აღწერა	დმანისის მუნიციპალიტეტის მიზანია კულტურულ-შემოქმედებით ცხოვრებაში მოსახლეობის ფართო მასების ჩართულობის უზრუნველყოფა, კულტურისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგების პოპულარიზაცია, კულტურული ტურიზმის განვითარება და შემოქმედებითი ორგანიზაციების ხელშეწყობა. ასევე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული 200-მდე კულტურული ძეგლის აღწერა, მოვლა-პატრონობა და პოპულარიზაცია. მუნიციპალიტეტი ორიენტირებულია ახალგაზრდების საზოგადოებრივ, კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობაზე. დმანისის მუნიციპალიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს ადგილობრივი კულტურულ საგანმანათლებლო ორგანიზაციების ხელშეწყობას. ამ მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ასიგნებები გამოიყოფა კულტურის სფეროს დაწესებულებების პროგრამისათვის. პროგრამის შედეგად 4 ქვეპროგრამისაგან და იგი შესაბამისად ხორციელდება 3 მუნიციპალური ა(ა)იპ-ის ბაზაზე. ესენია: ა(ა)იპ დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი, რომელსაც აქვს ფილიალი სოფელ გომარეთში, ა(ა)იპ დმანისის სამუსიკო სკოლა - ფუნქციონირებს სოფელ განთიადისა და სოფელ ვარდისუბნის ფილიალები და დმანისის საბიბლიოთეკო სამსახური, რომელშიც შედის საბავშვო, ცენტრალური და ოთხი სოფლის (ამამლო, გომარეთი, ვარდისუბანი, განთიადი) ბიბლიოთეკა. მეოთხე ქვეპროგრამას მოიცავს ტრადიციული და სახალხო დღესასწაულების ორგანიზებას, კულტურული მრავალფეროვნების ფესტივალების, სხვადასხვა კონცერტების გამოფენების, სახელოვნებო პროექტების, თეატრალური წარმოდგენების დაგეგმვა-განხორციელებასა და ახალგაზრდების ღვაწლმოსილ კულტურის მუშაკებთან შეხვედრის ორგანიზებას	
	პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	დმანისის მუნიციპალიტეტის მიზანია კულტურულ-შემოქმედებით ცხოვრებაში მოსახლეობის ფართო მასების ჩართულობის უზრუნველყოფა, კულტურისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგების პოპულარიზაცია, ტურიზმის განვითარება და შემოქმედებითი ორგანიზაციების ხელშეწყობა.	

ბ.ა) კულტურული დაწესებულებების ხელშეწყობა

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	კულტურული დაწესებულებების ხელშეწყობა	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
05 02 01			926,5
	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი	
	ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის მიზანია დმანისის მუნიციპალიტეტში კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა და მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდობისა და მოზარდების ჩართულობის უზრუნველყოფა ხალხურ შემოქმედებაში, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული კოლექტივების, სახელოვნებო და სხვა წრეების საქმიანობაში. ახალგაზრდებში ესთეტიური გემოვნების ჩამოყალიბება და მათი აღზრდა – განათლება ქართული ტრადიციების შესაბამისად. სახვითი, (ფერწერა, გრაფიკა, ხატვა) გამოყენებითი და ხალხური ხელოვნების (თექის დამუშავება, ქსოვა, ქარგვა, ხეზე კვთა) განვითარების ხელშეწყობა, მივიწყებული ტრადიციული დარგების აღორძინება და პოპულარიზაცია: ხალხური მთქმელების, ნიჭიერი ინდივიდუალური შემსრულებლების, ოსტატების გამოვლენა და მათი საქმიანობის ხელშეწყობა. ასევე განსაკუთრებული და გამორჩეული ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდების გამოვლენა და ხელშეწყობა. ხალხური მუსიკის, ქორეოგრაფიული და ზეპირსიტყვიერი ფოლკლორის ნიმუშების შეგროვების, შესწავლისა და პოპულარიზაციისათვის პრობების შექმნა, ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის, ქართული და მსოფლიოს ხელოვნების ნიმუშებისადმი ინტერესის გაღვივება, ეროვნული ტრადიციების, წეს-ჩვეულებებისა და თამაშების ფიქსაცია, პოპულარიზაცია. სამუზეუმო და ტურისტული საქმიანობის განვითარებას. სამუზეუმო და ტურისტული საქმიანობის განხორციელება. ამ ექსპოზიციებისათვის არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და სხვა მასალის მოძიება, საზოგადოებისათვის წარმოჩენა, თანამშრომლობა მუნიციპალიტეტის ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, საქართველოს ეროვნულ და სხვა მუზეუმებთან, ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებთან, უცხოეთის სხვადასხვა სამუზეუმო, სამეცნიერო და კულტურის ცენტრებთან.	

	<p>ლიტერატურულ-შემოქმედებითი სადამოყვების ორგანიზებას;</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით ტრანსპორტირებით უზრუნველყოფას, ასევე სასწავლო-სარეკლამო პროცესში სოფლად მცხოვრები ბავშვების ტრანსპორტით უზრუნველყოფა. ა(ა)იპ დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრში ფუნქციონირებს სხვადასხვა მიმართულებები. მათ შორის ქართული ხალხური რეწვის (თეჯა და ხეზე კვეთა), ხატვის, ფოლკლორული (სიმღერა და ცეკვა), ხალხური საკრავების, საგალობლების, საესტრადო, სამეჯლისო და სპორტული ცეკვების და თეატრალური სტუდიები. ასევე, ფოლკლორული ანსამბლები (ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი "შგარადა", ქალთა ფოლკლორული ანსამბლი "ირინოლა", ინტერნაციონალური ანსამბლი "დმანისური აისი"). სტუდიებში დღეისათვის დადის 324 ბავშვი (გოგო და ბიჭი); ხალხური სიმღერის სტუდია ---; ცენტრში დასაქმებულია 57 თანამშრომელი (ადმინისტრაცია, სტუდიების ხელმძღვანელები, ანსამბლების წევრები და სხვ.) აქედან 22 შტატისანი და 36 შტატგარეშე თანამშრომელი. ქალი .. კაცი ცენტრში ფუნქციონირებს არქეოლოგიური საექსპოზიციო დარბაზი, სადაც განთავსებულია 600-ზე მეტი ექსპონატი. საექსპოზიციო დარბაზის მნახველთა რაოდენობა წლის განმავლობაში საშუალოდ 1200-1500-ია. ცენტრში ასევე ფუნქციონირებს ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი.</p>
ქვეპროგრამის მიზანი	<p>დმანისის მუნიციპალიტეტში კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა და მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდობისა და მოზარდების ჩართულობის უზრუნველყოფა ხალხურ შემოქმედებაში</p>

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სახელოვნებო დაწესებულების ხელშეწყობა	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
05 02 02			246,8
	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ დმანისის სამუსიკო სკოლა	
	ქვეპროგრამის აღწერა	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში დმანისის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ "დმანისის სამუსიკო სკოლა" და მასში შემავალი ორი ფილიალი - სოფელ ვარდისუბნისა და სოფელ განთიადის ფილიალები, რომლის მიზანია საფორტეპიანო კლასიკური მუსიკის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა, რათა მოსწავლეები ეზიარონ ხელოვნების საფუძვლებს. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების ფესტივალებსა და კონკურსებში, მუსიკალურ-შემეცნებით წარმოდგენებში მონაწილეობა. სამუსიკო სკოლაში განათლებას იღებს 65 მოსწავლე - გოგო ... ბიჭი ... აქედან, ვარდისუბნის ფილიალში დადის ხოლო განთიადის ფილიალში კი - . სკოლაში დასაქმებულია (ადმინისტრაციული პერსონალი და პედაგოგები) 15 თანამშრომელი, აქედან 14 ქალი და 1 კაცი. 2023 წელს დაგეგმილია მოსწავლეთათვის კულტურულ-შემეცნებითი ტურები, როგორც არის სხვადასხვა კულტურულ სადამოყვებზე, თეატრის, ოპერისა და ბალეტის წარმოდგენებზე დასწრება და სხვა.</p>	
	ქვეპროგრამის მიზანი	ხელოვნებისადმი ინტერესის გაზრდა და საფორტეპიანო, კლასიკური მუსიკის საფუძვლების შესწავლა	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	საბიბლიოთეკო სამსახურის ხელშეწყობა	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
05 02 03			229,5
	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ დმანისის საბიბლიოთეკო სამსახური	
	ქვეპროგრამის აღწერა	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ საბიბლიოთეკო სამსახური, რომლის მიზანია ბიბლიოთეკისა და ზოგადად წიგნის კითხვის მიმართ ინტერესის გაზრდა, წიგნის კითხვის პოპულარიზაცია. საბიბლიოთეკო სამსახურში შედის: საბავშვო ბიბლიოთეკა, სოფელ განთიადის ფილიალი, სოფელ ვარდისუბნის ფილიალი, სოფელ გომარეთის ფილიალი, სოფელ ამამლოს ფილიალი. სამსახურში დასაქმებულია 13 ადამიანი, მათგან ყველა ქალია. ბიბლიოთეკები ყველა ასაკის მკითხველს ემსახურებიან. საბიბლიოთეკო სამსახურის წიგნადი ფონდი შეადგენს წიგნს. წიგნიერების დონის გაზრდის, მოსახლეობაში და განსაკუთრებით ბავშვებში კითხვის პოპულარიზაციის, საუკეთესო მკითხველების გამოვლენის მიზნით, ბიბლიოთეკის მიერ დაგეგმილია რიგი ღონისძიებები: ჩატარდება ინტერაქტიული, სათავგადასავლო თამაშები, რომლის ფარგლებშიც გაიმართება წიგნის აუქციონი, ლიტერატურული სასამართლოები, პოეტური ბატლი, გაიმართება ლიტერატურულ-თეატრალური წარმოდგენები, სხვადასხვა აქტივობებით აღინიშნება კულტურის სფეროში მოღვაწეთა საიუბილეო თარიღები. დაგეგმილია წიგნადი ფონდის განახლება და სკოლის მოსწავლეთა ჩართულობით კულტურულ-შემეცნებითი შეხვედრები მწერლებთან, ხელოვანებთან და სხვა.</p>	
	ქვეპროგრამის მიზანი	ბიბლიოთეკისა და ზოგადად წიგნის კითხვის მიმართ ინტერესის გაზრდა	

ბ.დ) კულტურული ღონისძიებები

	დასახელება		(ათას ლარში)
05 02 04			355,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა		ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ისეთი კულტურული ღონისძიებები, სადაც მეტად იქნება წარმოდგენილი სხვადასხვა სახელოვნებო მიმართულება (სახვითი, თეატრალური, სამუსიკო და ტრადიციული). ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელების პროცესში უზრუნველყოფილი იქნება სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფისა და მოქალაქეების ჩართულობა, ამ მიზნით მოხდება მათთან შეხვედრების ორგანიზება. იგეგმება კულტურული ღონისძიებები როგორც არის: საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, სახალხო დღესასწაული "დმანისობა", გომართობა, ეთნო ფესტივალი, საახალწლო კონცერტი და სხვადასხვა კულტურულ-შემეცნებითი შეხვედრები ახალგაზრდებისთვის. ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ფესტივალი - შემოქმედი ახალგაზრდობა და სხვა.	
ქვეპროგრამის მიზანი		მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა, კულტურის სფეროს დარგების ხელშეწყობა და მათი პოპულარიზაციისათვის შემოქმედებითი პროცესების სტიმულირება. სანახაობრივი მაღალი ხარისხის კულტურული ღონისძიებების ჩატარება. მოსახლეობის ჩართულობის გაზრდა.	

ბ.ე) რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა

კოდი	პროგრამის დასახელება	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
05 03			200,0
პროგრამის განმახორციელებელი		დმანისის მუნიციპალიტეტის მერია	
პროგრამის აღწერა		ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა.	
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი.		რელიგიური შემწყნარებლობის პროპაგანდა და მოსახლეობის სულიერობის ამაღლება.	

ბ.ვ) ინიციატივების თანადაფინანსება

კოდი	პროგრამის დასახელება	ინიციატივების თანადაფინანსება	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
05 04			2,0
პროგრამის განმახორციელებელი		დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური	
პროგრამის აღწერა		იქიდან გამომდინარე, რომ ახალგაზრდები წარმოადგენენ საზოგადოების მნიშვნელოვან სეგმენტს, რომელთაც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში წვლილის შეტანის დიდი პოტენციალი აქვთ, დმანისის მუნიციპალიტეტმა რუსთავის ჰაბთან თანამშრომლობით შემუშავდა აღნიშნული პროგრამა, რომლის ფარგლებში მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს ახალგაზრდული ინიციატივების ან მათი განვითარებისათვის მნიშვნელოვანი პროექტების ფინანსურ მხარდაჭერას. პროგრამას საფუძვლად უდევს საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 17 ილისის N7054 დადგენილება „2020-2030 ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის დამტკიცების შესახებ, რომლის მე-3 პუნქტის მიხედვით ეთხოვათ მუნიციპალიტეტებს ხელი შეუწყონ კონცეფციით განსაზღვრული სტრატეგიული პრიორიტეტებისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებას. პროგრამის არსი მდგომარეობს შემდეგში: დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მუნიციპალიტეტის მერიის გარდა, რომელიმე დონორი ორგანიზაციის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში (რომელიც ეხება ახალგაზრდების გაძლიერებას) გამარჯვების შემთხვევაში, თანადაფინანსების მსურველი ფიზიკური პირი ან არასამთავრობო ორგანიზაცია მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოადგენს წერილობით საპროექტო განაცხადს, რომელსაც განიხილავს შესაბამისი კომისია, მუნიციპალიტეტის მერი და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში მუნიციპალიტეტი დააფინანსებს დონორის მიერ დაფინანსებული პროექტის არამუმეტეს 50 %.	
პროგრამის მიზანი		დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული/ფაქტობრივად მცხოვრები ახალგაზრდა პირების ან/და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების გააქტიურება, ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა და მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი პროექტების თანადაფინანსება	

5. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით უზრუნველყოფას.

ა) ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (კოდი 06 01)

პროგრამის მიზანი: მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება;

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, პროგრამის ფარგლებში ასევე განხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია და მშენებლობა.

პრიორიტეტის/პროგრამების/ქვეპროგრამის /ღონისძიებების დასახელება		2024 წელი			2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
		სულ	ადგილობ	სახელმწ			
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1 785,8	1 605,6	180,2	1 693,3	1 706,2	1 730,7
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	179,2	0,0	179,2	130,1	143,0	157,5
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა ა(ა)იპ "დმანისის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"	179,2	0,0	179,2	130,1	143,0	157,5
06 02	სოციალური დაცვა	1 606,6	1 605,6	1,0	1563,2	1357,2	1573,2
06 02 01	მძიმე დიაგნოზის მქონე და სხვადასხვა სოციალური ფენის მოსახლეობის სოციალური დაცვა (ავადმყოფთა სოციალური დაცვა)	574,4	574,4	0,0	579,4	579,4	579,4
06 02 01 (01)	ავთვისებიანი სიმსივნითა და C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა ფინანსური მხარდაჭერა	300,0	300,0	0,0	300,0	300,0	300,0
06 02 01 (02)	ღიალიზის საჭიროების მქონე პირების დახმარება	24,0	24,0	0,0	24,0	24,0	24,0
06 02 01 (03)	ფენილკეტონურიით და გლუტენის ავადმყოფობით (ცელიაკია) დაავადებულ ბავშვთა სპეციფიკური კვების პროდუქტებით დახმარება	15,0	15,0	0,0	18,0	18,0	18,0
06 02 01 (04)	მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირების დახმარება	72,0	72,0	0,0	72,0	72,0	72,0
06 02 01 (05)	მიცვალბულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა	15,0	15,0	0,0	15,0	15,0	15,0
06 02 01 (06)	18 წელს გადაცილებულ შშ ქალთა და 18 წლამდე შშ მქონე პირთა სოციალური დაცვა	52,4	52,4	0,0	52,4	52,4	52,4
06 02 01 (07)	მარჩენალდაკარგული, დედამაშით ობოლი ბავშვების სოციალური დახმარება	26,0	26,0	0,0	26,0	26,0	26,0
06 02 01 (08)	ბავშვთა/რეაბილიტაციის ქვეპროგრამაში ჩართული 0-18 წლამდე შშმ სტატუსის მქონე არასრულწლოვანი, ბავშვიანი ოჯახებისქირით უზრუნველყოფის 2024 წლის ქვეპროგრამა,	18,0	18,0	0,0	18,0	18,0	18,0
06 02 01 (09)	„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების (ქირით უზრუნველყოფის) ქვეპროგრამა,	18,0	18,0	0,0	18,0	18,0	18,0
06 02 01 (10)	ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის, დღის ცენტრის და ადრეული განვითარებისცენტრში რეგისტრირებული 0-18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვების ყოველთვიურისოციალური დახმარების ქვეპროგრამა	24,0	24,0	0,0	24,0	24,0	24,0
06 02 01 (11)	კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვებიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა,	10,0	10,0	0,0	12,0	12,0	12,0
06 02 02	ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით სანაიპო (სახლობის შიშოლ ან ბოლსაწილი პრიორიტეტი)	64,0	64,0	0,0			

06 02 03	სოციალურდ დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო სტაციონალური, ამბულატორიული დახმარების მუნიციპალური პროგრამა ოპერაციების ხარჯები	500,0	500,0	0,0	500,0	500,0	500,0
06 02 03 (01)	აუტიზმის სპექტრის აშლილობათა მქონე ბავშვების რეაბილიტაციის მხარდაჭერა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა	400,0	400,0	0,0	400,0	400,0	400,0
06 02 03 (02)	აუტიზმის სპექტრის აშლილობათა მქონე ბავშვების რეაბილიტაციის სოციალური დახმარების პროგრამა	20,0	20,0	0,0	20,0	20,0	20,0
06 02 03 (03)	მოქალაქეთა მედიკამენტებით და საანალიზო ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა»	80,0	80,0	0,0	80,0	80,0	80,0
06 02 04	სარიტუალო მომსახურება (ომის ვეტერანები)	1,0	0,0	1,0	1,0	1,0	1,0
06 02 05	მზრუნველობა მოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა ა(ა)იპ "დმანისის სათნოების სახლი"	227,0	227,0	0,0	227,0	227,0	227,0
06 02 06	ტრანსპორტით მომსახურების მუნიციპალური პროგრამა	190,2	190,2	0,0	148,8	148,8	148,8
06 02 07	მოქალაქეთა ერთჯერადი დახმარებები (სარეზერვო)	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
06 02 08	ხანდაზმულთა შინმოვლისა და ჯანსაღი დაბერების პროგრამა (თანადაფინანსება	30,0	30,0	0,0	30,0	30,0	30,0
06 02 09	ქალთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების ქვეპროგრამა მათთვის დასაქმებისა და სამეწარმეო უნარების და გენდერულ საკითხებზე ენობრივების გაზრდის გზით.	20,0	20,0	0,0	25,0	25,0	25,0

კოდი	პროგრამის დასახელება	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
06 00			1 785,8
	პროგრამის განმახორციელებელი	დმანისის მუნიციპალიტეტის მერია	
	პროგრამის აღწერა	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან, ასევე ახორციელებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, სხვა სოციალური პროგრამებს, რომლებიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას	
	პროგრამის მიზანი	დმანისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	საზოგადოებრივი ჯანდაცვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა ა(ა)იპ "დმანისის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
06 01 01			179,2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ა(ა)იპ „დმანისის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“	
ქვეპროგრამის აღწერა		<p>სამოქმედო არეალში ეპიდზედამხედველობის, მათ შორის ტუბერკულოზით დაავადებული პირების კონტაქტების კვლევა, შეწყვეტილი და ურჩი ტუბ პაციენტების მოძიება მათი მკურნალობაში ხელახალი ჩართვის მიზნით, პატიმრობიდან გათავისუფლებული ტუბ პაციენტების ზედამხედველობა მკურნალობის დასრულების მიზნით, სამედიცინო სტატისტიკის ღონისძიებათა განხორციელება, სხვადასხვა პარაზიტულ დაავადებებზე მოსახლეობისათვის რეკომენდაციების მიწოდება; ცოფის გავრცელების სუბტელური მართვის პროცესებზე მეთვალყურეობა, კონტროლსდაქვემდებარებული სამედიცინო დაწესებულებების მონიტორინგი სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის წარმოებაზე, ნოზოკომიური ინფექციების ეპიდზედამხედველობაზე რეკომენდაციების მიწოდება;</p> <p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, მათ შორის ანტირაბიული და სპეციფიური შრატებით, სამედიცინო დაწესებულებების უზრუნველყოფა ასაცრელი მასალითა და ტესტ-სისტემებით - „ცივი ჯაჭვის“ პრინციპის დაცვით და მონიტორინგი, მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება თამბაქოსა და მეორადი კვამლის მავნეობაზე, სხვადასხვა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში და სავაჭრო დაწესებულებებში თამბაქოს შესახებ კანონის განმტკიცების ხელშეწყობა, სხვადასხვა ინფექციურ და პარაზიტულ დაავადებებზე, აგრეთვე ჯანმრთელობისათვის მავნე ჩვევებზე მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ლექცია საუბრებით, საინფორმაციო ბეჭდური მასალის მომზადება--გავრცელება, მასმედიასთან ურთიერთობა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების წარმოებისას სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა და სხვადასხვა პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა.</p> <p>ქვეპროგრამა მოიცავს:</p>	
ქვეპროგრამის მიზანი		მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება - საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა.	

კოდი	პროგრამის დასახელება	სოციალური პროგრამები	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
06 02			1 606,6
პროგრამის განმახორციელებელი		მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური	
პროგრამის აღწერა		<p>ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს, მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში ახორციელებს სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის დახმარებას, პროგრამა მოიცავს 7 ქვეპროგრამას:</p> <p>ა) მძიმე დიაგნოზის მქონე და სხვადასხვა სოფიაციური ფენის მოსახლეობის სოციალური დაცვა, რომელშიც შედის ავთვისებიანი სიმსივნითა და C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა ფინანსური მხარდაჭერა, დიალიზის საჭიროების მქონე პირთა მხარდაჭერა, ფენილკეტონურიით და გლუტენის ავადმყოფობით დაავადებულ ბავშვთა სპეციფიკური კვების პროდუქტებით მხარდაჭერა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (უსინათლოთა) ფინანსური მხარდაჭერა და მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების ქვეპროგრამები;</p> <p>ბ) ზამთრის სეზონთან დაკავშირებით ბიოსაწვავით უზრუნველყოფის პროგრამა</p> <p>გ) სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო სტაციონარული, ამბულატორიული, ფიზიკური თერაპიისა და რეაბილიტაციის დახმარება, რომელშიც შედის აუტოზმის სპექტრის აშლილობათა მქონე ბავშვების რეაბილიტაციის სოციალური დახმარება,</p> <p>დ) მზრუნველობა მოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა ა(ა)იპ "დმანისის სათნოების სახლი"</p> <p>ე) ტრანსპორტით მომსახურების მუნიციპალური პროგრამა და სხვა.</p>	
პროგრამის მიზანი		მოსახლეობის სოციალური მდგომარეობისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესება	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	მძიმე დიაგნოზის მქონე და სხვადასხვა სოციალური რისკის მოსახლეობის	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
------	-------------------------	--	------------------------------------

06 02 01		სოციალური დაცვა	574.4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ავთვისებიანი სიმსივნითა და C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა ფინანსური მხარდაჭერა, დიალიზის საჭიროების მქონე პირთა მხარდაჭერა, ფენილკეტონურიით და გლუტენის ავადმყოფობით დაავადებულ ბავშვთა სპეციფიკური კვების პროდუქტებით მხარდაჭერა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (უსინათლოთა) ფინანსური მხარდაჭერა და მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების ქვეპროგრამები;		
ქვეპროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტში მცხოვრები მძიმე დიაგნოზის მქონე პირების ფინანსური მხარდაჭერა		

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ავთვისებიანი სიმსივნითა და C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა ფინანსური მხარდაჭერა	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
06 02 01 01			300.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამით მოსარგებლები არიან დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ავთვისებიანი სიმსივნით და C ჰეპატიტით დაავადებული პირები, ცალკეულ შემთხვევაში დმანისის მუნიციპალიტეტის მერი უფლებამოსილია მიანიჭოს პირს პროგრამით სარგებლობის უფლება, შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით, მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ დახმარებას იღებს ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით, რომლის მოცულობაც არ უნდა აღემატებოდეს 200 (ორასი) ლარს.		
ქვეპროგრამის მიზანი	ავთვისებიანი სიმსივნითა და C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა ფინანსური მხარდაჭერა მკურნალობისთვის საჭირო ხარჯების დაფინანსებისთვის		

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	დიალიზის პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა ფინანსური მხარდაჭერა	2024წლის დაფინანსება (ათას ლარში)
06 02 01 02			24.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური		
